პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის, კომოსომოლის და საქართველოს სსრ მთავრობის ლენინგრადის ოლქის

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

САМШАБАТИ, 11 მარტი, 1947 წ. № 52 (7836). ფასი 20 კაპ.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲐ:

ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲡᲐᲕᲐᲠᲓᲝᲗᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲨᲘ. მოსკოვის სესიის გახსნა (1-ლი გვერდი).

ᲡᲐᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ. სოფლის მეურნეობის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ახალი მრავალფეროვანი ყვავილოვანი მცენარეების ფართოდ გავრცელებისა და ადგილობრივ პირობებში ადაპტაციის შესახებ (მე-2 გვერდი).

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ XXX ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲗ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ. საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისთვის (მე-2 გვერდი).

ᲣᲜᲔᲠᲗᲝᲗᲨᲘ ᲠᲘᲡᲬᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲝᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘ (მე-3 გვერდი).

ᲐᲒᲠᲝᲛᲣᲠᲘ ᲠᲘᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲙᲐᲫᲐᲕᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ. Ა. Ა. ᲒᲠᲐᲛᲩᲘᲝᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲕᲐ ᲣᲪᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ 1947 ᲬᲚᲘᲡ 5 მარტს (მე-3 და მე-4 გვერდები).

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ: დეპეშები (მე-4 გვერდი).

ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

მთავრობის დადგენილება — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ წარმოადგეს მთელი ჩვენი მეურნეობისა და ბრძოლის დიად პროგრამას. ეს დადგენილება ჩვენი უძლეველი სამშობლოს თვითეული მშრომელის წინაშე სახავს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების შემდგომი ზრდის, შრენებლობის ტემპების კიდევ უფრო ამაღლების, ტექნიკური პროგრესის გაძლიერების, ომისშემდგომი სინძნელეების უსწრაფესი დაძლევის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის თვალსაჩინოდ გაუმჯობესების გაზრდილ [illegible]

სსრ კავშირის მინისტრთა [illegible] ადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკური დაქვითბარების საწარმოებში 1946 წელთან [illegible] პროდუქციის გამოშვება [illegible] ეზრდა 10 პროცენტით. ელექტროენერგიის მწარმოებლებმა ჩვენს რესპუბლიკაში მოხმარიანი 830 მილიონი მანეთი. წელს მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგებიან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთელი რიგი დამხმარე საამქროები, პირველი პროდუქციის მოგვცემს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ამუშავდებიან ახალი შახტები, ნაწილობრივ ამუშავდებიან ხრამისა და სოხუმის მიღრეოსდგეურები, პლასტასის დიდი საწარმო, სამშენებლო მასალათა დამამზადებელი ქარხნები, დამთავრდება რკინიგზის ქუთაის-ტყიბულის ხაზის ელექტრიფიკაციის სამუშაოები, მკვეთრად გაძლიერდება სანინო მშენებლობა.

ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ეს გრანდიოზული პროგრამა თვითეულ მშრომელს აღიგფოთვანებს ზრომითი მამაკაცისათვის, ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესასრულებლად ბრძოლისათვის.

უდიდესი აღფოთოვანებით გამოეხმაურნენ საქართველოს საწარმოების, ახალმშენებლობათა და ტრანსპორტის მუშები ლენინგრადელთა მიმართვას ლენინგრადელთა ინიციატივით ადგილ ოქტომბრის ოცდაშვიდ წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. საწარმოთა კოლექტივები ჩაებნენ შეჯიბრებაში და კონკურეტული ვალდებულებები იკისრეს. 7 ნოემბრისათვის წლიური გეგმების შესრულება დაიგალეს თბილისელმა დაზგაგამშენებლებმა და მმართველმა ბრიგადა ნ. ბერიასშვილისა, ჟიოფერელმა მეტალურგებმა, საავტომობილო ქარხნისა და ხრამპესის კოლექტივებმა. დიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც მალალნაყოფიერი მუშობისათვის მთელი რიგი თვეების მანძილზე ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვარდამაგალ წოფელ დროშას, იკისრა წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის შესასრულოს.

რესპუბლიკის საწარმოთა დიდი უმრავლესობა წარმატებით ანაღდებს ლენინგრადელთა მიმართვის სპასუელ ნაკისრ ვალდებულებებს. ინვალიდებელთა დაკვალებები ვადამდე შეასრულეს დიმიტროვის, კიროვის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებმა, ზესტაფონელმა მეტალურგებმა და ჭიათურელმა მაღარელებმა, თბილისელმა და ქუთაისელმა აბრეშუმმქსოველებმა. მაღალნაყოფიერად მუშაობენ კასპელი მეცემენტეები და ბახრაძელი ფეიერები, ბორელი და ზუგდიდელი მეკონსერვეები, მეტალურგიული, საავტომობილო ქარხნებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშრენებლები, ჩვენი რკინიგზელები.

მაგრამ საწარმოო ფრონტზე დიდ წარმატებებს ერთგვარად ჩრდილავს ზოგიერთი საწარმოს ჩამორჩენა. თბილისელ ორთქლმავალშემკეთებლებს, მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივს, ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკას, საქართველოს მეშახტეებს და ზოგიერთ სხვა საწარმოს არ შეუსრულებიათ ხუთწლედის მეორე წლის განვლილი თვეების დავალებანი. მთლიანად თბილისის მრეწველობას 0,7 პროცენტი დაკაცდა ინვენარ-თებერვლის გეგმების შესრულებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება თვითეული საწარმოსათვის ზუსტად განსაზღვრავს კვარტალურ და ყოველთვიურ დავალებებს. მაგალითად, 1947 წლის პირველ კვარტალში საწარმოთა კოლექტივებს გეგმა უნდა შეესრულებინათ: თებერვარში 34 პროცენტით, თებერვალში — 31 პროცენტით. მარტში მათ უნდა მოგვცენ გეგმის 35 პროცენტი. ეს არის ბარკვეული დავალება რიტმული მუშობისათვის. ეს დავალება აუცილებელია განუხრელად შესრულდეს.

[illegible] ბევრ საწარმოში მუშათა საკრძნობი ნაწილი ვერ ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს. თბილისის ბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას იანვრისა და თებერვლის [illegible] ორ-ორ [illegible] ეკუთვნოდა [illegible] ეს [illegible] ამ ფაბრიკის საქსოვი საამქროს მუშათა 25 პროცენტი დღიურ დავალებებს ვერ ანაღდებს. ასევე ვერ ასრულებს დღიურ გეგმებს თბილისის ორთქლმავალ - ვაგონსაკეთებლო ქარხნის და მაუდ-კამოლის ფაბრიკის ასეულნი მუშა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება გარკვეული მოგვითითებს, რომ თვითეული საწარმოს გეგმა „ვაგონაშენებელი უნდა იყოს არა წარმოებაში მიღწეული საშუალო არითმეტიკული ნორმების მიხედვით, არამედ საშუალო პროგრესული ნორმების მიხედვით“. ამის მისაღწევად აუცილებელია საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელი, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ზრუნავდნენ წარმოების დაგეგმვის ძირითად ვალებებზე. საწარმოს ხელმძღვანელთა მოვალეობაა შეიქმნან მუშებს ნორმალური მუშობის პირობები, შეიმუშაონ და თვითეულ მუშას გააცნონ საშუალო პროგრესული ნორმები, შეუფერხებლად მოამარაგონ წარმოება ნედლეულით და დამზადება მასალებით, სრულ წესრიგში იყოლონ დაზგა-დანადგარები, ყოველდღიურად იზრუნონ მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

საწარმოთა გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს სტახანოვური განრიგი, რომელიც საწარმოს საერთო გეგმიდან უნდა გამომდინარეობდეს. სტახანოვური განრიგის მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ თვითეული სამერო, ცეცა, ბრიგადა, მუშა იღებს გარკვეულ დავალებას გეგმის შესრულებისათვის; სტახანოვური განრიგი ამავე დროს სახავს შრომის ნაყოფიერების გადიდების, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, ნედლეულისა და დამზადება მასალების მომჭირნეობით ბარეკვის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვის კონკურტულ ლონისძიებებს. სტახანოვური განრიგის შედგენისათვის აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის წარჩინებული სტახანოველის ვ. მატროსოვის ბრიგადის მუშაობის გამოცდილება.

ხალხთა ბელადი დიდი სტალინი გვასწავლის:

„ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა — ეს მშრომელთა მილიონენია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ჰქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა — ეს ცოცხალი ადამიანები, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნიბილოფფა შრომისადმი, ჩვენი შზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად. ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში“.

საქართველოს მშრომელები, რომლებმაც ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა, ბელადის მითითების შესასრულებლად ძალასა და ენერგიას არ დაზოგავენ. ისინი ლენინგრადელთა მიმართვას უპასუხებენ გეგმების 7 ნოემბრისათვის შესრულებით.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

10 მარტს, შეერთებული სამეფოს თემთა პალატისა და ლორდთა პალატის მიწვევით, ლონდონს ჩავიდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და დელეგაციის წევრები დეპუტატები ა. ა. ფადეევი, ვ. ტ. ლაცისი, ნ. პ. ბაჟანი, კ. მ. სიმონოვი, ნ. ი. მუსხელიშვილი, ო. ნ. პოდვასოცკაია, მ. კ. სამონენკოვა, კ. კ. კარტაშევი, ნ. ა. ლუნინი, ნ. ფ. ზიმენკოვი, ბ. ზ. ბაბაევი, ა. მ. ივანოვი, ბ. ა. ზარია, კ. ი. სატპაევი, მ. მ. გრომოვი, ი. ვ. ეგოროროვი, ს. ვ. ვეკლიოვი, მ. ა. სუსლოვი და მ. ა. ტაშუბაზეფოვი.

ინგლისის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ინგლისის ბანკებში ინგლისელ ეროვნებათა ანგარიშებზე ინგლისის ბანკებში ინგლისელ ეროვნებათა ანგარიშებზე ინგლისელ ეროვნებათა ანგარიშებზე

ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

10 მარტს მოსკოვში, საავიაციო მრეწველობის სახლში გაიხსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესია. შენობა, რომელშიც მინისტრების საბჭოს სხდომები მიმდინარეობს, მორთულია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით.

საბჭოთა კავშირი სესიაზე წარმოდგენილი დელეგაციით, რომელსაც მეთაურობს ვ. მ. მოლოტოვი; დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ა. ი. ვიშინსკი, ფ. ტ. გუსევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ა. ა. სმირნოვი, ვ. ს. სემიონოვი. ინგლისის დელეგაციას მეთაურობს ბ-ნი ე. ბევინი; დელეგაციაში შედიან ბ-ნები ჰუდი, ჰოლ-პეტრი, დიქსონი. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას წარმოადგენენ — სახელმწიფო მდივანი ბ-ნი მარშალი და ბ-ნები �ტონი, მერფი, ბოლენი, დალეს, გენერალი კლარკი. საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობაში არიან — ბ-ნი ბიდო (დელეგაციის მეთაური), გენერალი კატრუ, ბ-ნები კუვე დე მიურვილი, ალფანი, სენტ-არდუენი.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ სოლიკოვის სესიაზე უნდა განიხილოს უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც გერმანიის შეეხება. სესიის დღის წესრიგში დგას აგრეთვე ავსტრიასთან ხელშეკრულების პროექტის მომზადების საკითხი. სესიის მუშაობისადმი მიპყრობილია მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის უურადღება; მოსკოვს ჩამოვიდა უცხოეთის პრესისა და რადიოს მრავალი წარმომადგენელი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა გახსნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიის სხდომა და გამოიცა მოკლე სიტყვით, რომელშიც სთქვა:

„ბატონებო! საბჭოთა კავშირის თანამრთველის სახელით და ჩემდათავად მოვესალმები დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის დელეგაციათა შეთავრებს—ბ-ნ ბევინს, ბ-ნ მარშალს, ბ-ნ ბიდოს და მათ თანაშემწეებს, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ნიუ-იორკში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს ჩვენ შეეთანხმდით ამ სესიის პროგრამაზე. ჩვენ უნდა განვიხილოთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება სამშფოდრო მოწესრიგებას გერმანიისთვის, და გავარჩიოთ ავსტრიასთან ხელშეკრულების დადების საკითხი. ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები იოლი როდია. მაგრამ ჩვენ გვაქვს საიმედო საფუძველი ერთობლივი მუშაობისათვის და, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული გადაწყვეტილებანი გერმანიისათვის, რომლებიც მოეკუთვნა მოკავშირეთა კონფერენციებზე ყირიმსა და ბერლინში. ჩვენმა მოადგილეებმა ლონდონში და საკონტროლო საბჭომ გერმანიაში, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ გერმანიისა და ავსტრიის საკითხების მომზადება, დიდი და სასარგებლო მუშაობა გასწიეს და ჩვენს ბანდელეველად წარმოადგინეს საჭირო მასალები და რეკომენდაციები.

ᲕᲘ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა დელეგაციის სურს წამოაყენოს ერთი წინადადება დღის წესრიგისათვის.

როგორც ცნობილია მოსკოვის თათბირზე 1945 წლის დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ აუცილებელია ჩინეთის ეროვნული მთავრობა ეფუფრთხილოს ბრძოლა ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელობით, რომ აუცილებელია დემოკრატიული ელემენტების ფართოდ ჩაბმა ჩინეთის დემოკრატიული მთავრობის ყველა ორგანოში და სამოქალაქო ბრძოლის შეწყვეტა. მათ აგრეთვე დადასტურეს თანაბარი ერთგულება ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკისადმი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის მიღწეულ იქნა სრული თანხმობა იმის შესახებ, რომ სასურველია საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული ძალების გამოყენება ჩინეთიდან რაც შეიძლება მოკლე ვადაში, რომელიც კი შეესაბამება მთა მიერ თავიანთი ვალდებულებათა შესრულებას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲝᲓᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲛᲐ

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური მარშალი დაეთანხმება იმას, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის სხდომების დროს. მაგრამ მან დრო ითხოვა, რომ ამ საკითხის განხილვის პროცედურა მოიფიქროს.

მოლოტოვმა განმარტა საბჭოთა დელეგაციის წინადადება და მოაგონა სხდომას, რომ 1945 წლის დეკემბერში ჩინეთის საკითხი განხილულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე. მაშინ მიღებულ იქნა ვარკეული შეთანხმება. ამკამად საბჭოთა დელეგაციას მხედველობაში აქვს, რომ მინისტრების საბჭომ მოისმინოს ინფორმაცია ჩინეთის შესახებ იმ გადაწყვეტილებათა შესრულების თაობაზე, რომლებიც მიღებულ იქნა. საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგი არ არის იმისა, რომ ეს წინადადება დამატებით იქნას გარჩეული და განხილული მინისტრების საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა ეს ყველასათვის მოსახერხებელი იქნება.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წევრები შეთანხმდნენ შემდეგი სხდომისათვის გადადიოს განხილვა საბჭოთა დელეგაციის წინადადებაზე ჩინეთის საკითხის გარჩევის შესახებ. შემდეგ სხდომაზე განხილულ იქნება ბატონი ბ-ნ მარშალის მიერ წარმოდგენილი წინადადება იმის შესახებ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას ხალხთა ევროპაში საოკუპაციო ჯარების რაოდენობის შეზღუდვის შესახებ.

შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო გადაიდგა დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვაზე.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

თავმჯდომარემ მოაგონა სხდომას, რომ თანამშრომ მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიის მუშობის პროგრამაზე, რომელიც დამტკიცებულია ნიუ-იორკში, დღის წესრიგის პირველი პუნქტი ასეთია:

„განხილვა მოხსენებისა, რომელიც უნდა წარმოადგინოს გერმანიაში არსებულმა მოკავშირეთა საკონტროლო საბჭომ შემდეგ საკითხებზე:

A) საკონტროლო საბჭოს მუშობა, რაც ჩატარებული მისი შექმნის დროიდან, შემდეგ საკითხებზე: დემილიტარიზაცია, დენაციფიკაცია, დემოკრატიზაცია, ეკონომიური პრინციპები, რეპარაციები;

B) ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების შექმნა და ოთხი სახელმწიფოს მმართველობაში გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიურ და საფინანსო მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

C) პრუსიის ლიკვიდაცია“.

ე. ბევინმა სამდურავი გამოსქვა იმის გამო, რომ გერმანიის საკონტროლო საბჭოს მოხსენება „მეტად ვრცელია“. მარშალმა მხარი დაუჭირა მას და წინადადება წამოაყენა დაევალოს მოადგილეებს „ამოარჩონ ამ პუნქტის ძირითადი პრობლემები საბჭოს სხდომაზე მოსასმენად“.

ᲞᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბევინმა აღნიშნა, რომ მინისტრების საბჭოს წინა (ნიუ-იორკის) სესიის შემდეგ გერმანიის საკონტროლო საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება პრუსიის სახელმწიფოს ლიკვიდაციის შესახებ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲣᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲠᲝᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲛᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

1947 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘᲐ ᲐᲬᲠᲘᲠᲑᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საინფორმაციო ცნობა

მინსკი, 7 მარტი. (საქდესი). 1947 წლის 7 მარტს მინსკში შესდგა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხები.

ბელორუსიაში პარტიული და საბჭოთა მუშაობის განმტკიცების მიზნით ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიზანშეწონილად სცნო ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტების გაყოფა.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე გუსაროვი და ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დასტოვა ამხ. პანტელეიმონ კონდრატის-ძე პონომარენკო.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიზანშეწონილად სცნო ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში იქონიოს პოსტები მდივნისა სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა დარგში და მდივნისა მრეწველობის დარგში და გააუქმა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის პოსტი.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა დარგში არჩეულია ამხ. სიმონ დენისის-ძე იგნატიევი, ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად მრეწველობის დარგში—ამხ. ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე მალინი.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში აირჩია ამხ. მიხეილ ტრიფონის-ძე იოვჩუკი.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად აირჩია ამხ. ნ. ი. გუსაროვი, ამხ. ს. დ. იგნატიევი და ამხ. მ. ტ. იოვჩუკი.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

„ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ" საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების ბელორუსიის სს რესპუბლიკაში განხორციელების საკითხის დაწვრილებით განხილვისათვის გადაწყდა ახლო მომავალში მოწვეულ იქნას ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნა ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

მოსკოვს ჩამოვიდა ბ-ნი ჟ. ბიდო

9 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო და მისი თანმხლები პირნი.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ ჟ. ბიდოს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი კ. ვ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, აგრეთვე წევრები საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩოსი სსრ კავშირში ელჩის ბ-ნ ჟ. კატრუს მეთაურობით, ჩინეთის ელჩი ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი, საბერძნეთის ელჩი ბ-ნი ა. პოლიტისი, იუგოსლავიის ელჩი ბ-ნი ვ. პოპოვიჩი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი ბ-ნი ი. გორაკი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი უ. სმიტი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ პეტერსონი, თურქეთის ელჩი ბ-ნი ფ. აკდური, ნორვეგიის ელჩი ბ-ნი ხ. ბერგი, ლუქსემბურგის დესპანი ბ-ნი რ. ბლიუმი, ფინეთის დესპანი ბ-ნი კ. სუნდსტრემი, უნგრეთის დესპანი ბ-ნი დ. სეკფიუ, ბულგარეთის დესპანი ბ-ნი ნ. ნიკოლოვი, ეგვიპტის დესპანი ბ-ნი კ. ელ-ბინდარი-ფაშა, პოლონეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი გ. ვოლპე.

ვაგზალი მორთული იყო საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ ჟორჟ ბიდოს განცხადება

ბ-ნმა ჟორჟ ბიდომ „რადიოთი უკანასკნელ ცნობათა" მიკროფონის წინ ვაგზალზე შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ბედნიერი ვარ, რომ კვლავ ჩამოვედი მოსკოვს. მე აქ ჩამოვედი ომის დროს, რათა ხელი მომეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის. დღეს აქ ვბრუნდები მშვიდობიანი დროის პირობებში იმისათვის, რომ მტერს, რომლის შესახებაც ლაპარაკია ჩვენს სამოკავშირეო ხელშეკრულებაში, შესაძლებლობა მოვუსპოთ მომავალშიც წარმოადგენდეს საშიშროებას მშვიდობისათვის. მოსკოვის კონფერენციის წარმატებით მსვლელობის და მშვიდობის საკითხში სახელმწიფოთა თანხმობის სრული რწმენით ხდებოდა ჩემი ეს მოგზაურობა, რომელიც იმდენად სასიამოვნო პირობებში მიმდინარეობდა, რომ იგი მე ძალიან ხანმოკლედაც კი მეჩვენა".

მოსკოვს ჩამოვიდა ბ-ნი მარშალი

9 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დ. მარშალი და მისი თანმხლები პირნი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ დ. მარშალს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი კ. ვ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, აგრეთვე წევრები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსი სსრ კავშირში ელჩის ბ-ნ უ. სმიტის მეთაურობით, ჩინეთის ელჩი ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი, საბერძნეთის ელჩი ბ-ნი ა. პოლიტისი, საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ჟ. კატრუ, დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ პეტერსონი, თურქეთის ელჩი ბ-ნი ფ. აკდური, ნორვეგიის ელჩი ბ-ნი ხ. ბერგი, ლუქსემბურგის დესპანი ბ-ნი რ. ბლიუმი, ეგვიპტის დესპანი ბ-ნი კ. ელ-ბინდარი-ფაშა, ავსტრიის პოლიტიკური წარმომადგენლობის მრჩეველი ბ-ნი კ. ბრაუნიასი.

აეროდრომი მორთული იყო ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

ბ-ნ დ. მარშალის განცხადება

აეროდრომზე ბ-ნი დ. მარშალი „რადიოთი უკანასკნელ ცნობათა" მიკროფონის წინ გამოვიდა შემდეგი განცხადებით:

„მე ფრიად ბედნიერი ვარ, რომ მოსკოვს ჩამოვედი. მე აქ პირველად და ასეთ მშვენიერ დღეს ვიმყოფები. ძლიერ მადლობელი ვარ ჩემთვის გაწეული მიღებისათვის. ეს ჩემი პირველი ნამდვილი ვიზიტია საბჭოთა კავშირში და პირველი ნამდვილი კონტაქტია საბჭოთა ხალხთან, თუ არ ჩავთვლი მოკლე პერიოდს შორეულ იალტაში. მისიას, რომლითაც მე ჩამოვედი, როგორც ეს მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი, უდიდესი მნიშვნელობა და შედეგები აქვს მთელი კაცობრიობისათვის. ბევრი იყო სიძნელე, რაც აუცილებელია ნამდვილი მშვიდობის დამყარების მისწრაფებით წარმოებული მოლაპარაკების დროს. და უეჭველია სიძნელენი იქნება აქაც. მაგრამ ეს სიძნელენი წარმატებით იქნება დაძლეული და მე დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ჩვენ მივაღწევთ შეთანხმებებს, რომლებიც ძლიერ წასწევენ წინ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების საქმეს, რომლითაც ჩვენ ყველანი ესოდენ ძლიერ ვართ დაინტერესებულნი".

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ბევინი

9 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ბევინი.

მიღებას დაესწრო ბრიტანეთის ელჩი სერ მორის დ. პეტერსონი. (საქდესი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი ბიდო

9 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჟ. ბიდო.

მიღებას დაესწრო საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ჟ. კატრუ. (საქდესი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბ-ნი მარშალი

10 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი დ. მარშალი.

მიღებას დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი უ. სმიტი.

ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარის კოლმეურნეობა „წითელი დროშის" თავმჯდომარე ს. გურული კოლმეურნეებს უკითხავს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ".

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ

საჩხერის რაიონი

კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ". ამ დადგენილების პასუხად ისინი ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საგაზაფხულო ხვნა-თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

სოფელ ჩიხის კოლმეურნეობის ბრიგადირებმა ისიდორე და ვლადიმერ ჭიგლაძეებმა იკისრეს წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 14 ცენტნერი მარცვლეული. სოფელ კალაურთის კოლმეურნეობამ ვალდებულება აიღო გამოჰყოს 200 სტახანოვური ჰექტარი და თვითეული ჰექტარიდან 18 ცენტნერი სიმინდი მიიღოს. სოფელ ნიგვზარის კოლმეურნეობის წევრმა შალვა მაჭარაშვილმა პირობა დადო, რომ პირადად დაამუშავებს ორ სტახანოვურ ჰექტარს და თვითეულ ჰექტარზე ოც ცენტნერ მარცვლეულს მოიყვანს.

პ. ფიოლაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

• • •

ქარელის რაიონი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული დადგენილების პასუხად ქარელის რაიონის მშრომელები აძლიერებენ მუშაობის ტემპებს.

სოფელ ქვენატკოცის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. გოჩიაშვილმა განაცხადა:—ჩვენ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა გვაქვს. მინდვრებში გაუტანელია ადგილობრივი სასუქის დიდი ნაწილი. ზუსტად არ ვასრულებთ აგროწესებს. ეს რომ ასე არ იყოს, ბევრად მეტ მოსავალს მოვიყვანდით. ბრიგადაში გადავწყვიტეთ წელს საუკეთესოდ ვიმუშაოთ, გავატაროთ აგროღონისძიებანი და მოვიყვანოთ ჰექტარზე 12 ცენტნერი პური, 15 ცენტნერი ქერი, 18 ცენტნერი სიმინდი.

ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. მარღიშვილმა კოლმეურნეთა კრებაზე სთქვა: — შარშან შრომადღეზე ჩვენ გავანაწილეთ 9 კილოგრამი მარცვლეული, მაგრამ ფაქტია, რომ შეიძლებოდა უკეთესად გვემუშავა და მეტი მიგვეღო. ახლა უნდა ვიკისროთ ისეთი ვალდებულებანი, რომლებიც შრომადღეზე 12 კილოგრამი მარცვლეულის განაწილების საშუალებას მოგვცემენ.

ვ. ინასარიძე

„კომუნისტის" კორესპონდენტი

• • •

ქუთაისის რაიონი

კოლმეურნეები გულმოდგინედ სწავლობენ პლენუმის დადგენილებას. 400-ზე მეტი აგიტატორი ეხმარება ამ საქმეში სოფლის მშრომელებს. გლეხები იწონებენ დადგენილებას და ახალ ვალდებულებებს კისრულობენ მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის" წევრებმა იკისრეს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად შარშანდელი 16 ცენტნერისა, 50 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად შარშანდელი 35-სა, გეგმის გადამეტებით დათესონ 20 ჰექტარი სიმინდი, საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ 25 აპრილამდე.

კოლმეურნეობის ბრიგადირებმა ს. ბრეგაძემ, შ. მამისეიშვილმა, ე. სანებლიძემ, თ. ფესტვენიძემ პირობა დადეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი.

სტახანოველმა კოლმეურნეებმა ვ. ჰეიშვილმა, გ. გაბედავამ, პ. გიგაძემ და გ. დოლაბერიძემ კრებას სიტყვა მისცეს სტახანოვური ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერი სიმინდი მოიყვანონ.

პლენუმის დადგენილების საპასუხოდ ახალი ვალდებულებანი იკისრეს სოფელ კვახჭირის ჩარკვიანის, ოფშკვითის ვოროშილოვის, საყულიის კომუნარის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ზ. მეფისაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ხაშურის რაიონი

სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლაში" კოლმეურნეებს პლენუმის დადგენილება გააცნო საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ცუცქირიძემ.

სიტყვით გამოვიდა მევენახეობის ბრიგადირი გ. ცერცვაძე, რომელმაც იკისრა ჰექტარზე მოიყვანოს 45 ცენტნერი ყურძენი. ახალი ვალდებულებები იკისრეს კოლმეურნეებმა პ. კვერნაძემ, ა. ლაცაბიძემ, ს. ქურდაძემ და დ. ლაცაბიძემ.

სოფელ ჩუმათელეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ჩადუნელმა პირობა დადო სტახანოვურ ჰექტარზე მიიღოს 32 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად შარშან მოყვანილი 28 ცენტნერისა.

სოფელ გომის 21 იანვრის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე მესამე ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. გიგოშვილმა იკისრა თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 210 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 22 ცენტნერი სიმინდი, 16 ცენტნერი ხორბალი და 15 ცენტნერი ქერი.

ხაშურელი კოლმეურნეები ისტორიული დადგენილების პასუხად დღითი დღე აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, იბრძვიან საგაზაფხულო ხვნა-თესვის ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. კოლმეურნეებმა 7 მარტისათვის უკვე დასთესეს 700 ჰექტარამდე მარცვლეული კულტურები. მათ შორის ქერი დათესილია 495 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით. მინდვრად გატანილია 16.328 ტონაზე მეტი ნაკელი.

შ. დალაქიშვილი

„კომუნისტის" კორესპონდენტი

• • •

ყვარლის რაიონი

დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით მიმდინარეობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების გაცნობისა და შესწავლისადმი მიძღვნილი კრებები. კოლმეურნეები კრებებზე აყენებენ მთელ რიგ წინადადებებს, სახავენ ღონისძიებებს მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა რ. ნემსაძემ კრებაზე განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარს უხვი მოსავლის მიღების ოსტატის ჩ. ქვაჩახიას მუშაობის მეთოდის დანერგვისათვის და ჰექტარზე მოიყვანს 80 ცენტნერ სიმინდს.

რაიონში გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე 5 დღით ადრე დაამთავრეს საადრეო საგაზაფხულო კულტურების თესვა. მაგალითად, შვრია დათესილია 460 ჰექტარი, მზესუმზირა — 208 ჰექტარი. გეგმის გადამეტებით არის დათესილი ხორბალი, ქერი და ბოსტნეული.

ტ. კანაძე

„კომუნისტის" კორესპონდენტი

• • •

ჩოხატაურის რაიონი

სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. დოლიძე) მინდვრებსა და პლანტაციებში სამუშაოდ გავიდა ყველა შრომისუნარიანი ქალი და კაცი. მათ გადაწყვეტილი აქვთ წელს მოიყვანონ ჩაის, ციტრუსებისა და ერთწლიანი კულტურების შარშანდელზე ორჯერ მეტი მოსავალი, გეგმის გადამეტებით აითვისონ 10 ჰექტარი ყამირი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და წლის მანძილზე თვითეულმა 500-600 შრომადღის გამომუშავება იკისრეს კოლმეურნეებმა ე. დოლიძემ, გ. ჩიჩუამ, შ. აბუსერიძემ, გ. ჯიბუტმა, ი. დოლიძემ და სხვ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა სოფელ იანეულის, ბუკისციხის, გორაბერეჟოულის და რაიონის სხვა კოლმეურნეობებში.

ლ. ლოლაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავი აღვნიშნოთ წლიური საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებით

თათბირი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

მიმდინარე წელს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის წინაშე უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული. საწარმოთა კოლექტივებს წელს მოეთხოვებათ უფრო მაღალნაყოფიერი, უფრო გამართული მუშაობა, ვიდრე შარშან მუშაობდნენ.

თბილისის საწარმოებში ლენინგრადელთა მიმართვამ წლიური დავალებების 7 ნოემბრისათვის შესრულების შესახებ ერთსულოვანი აღფრთოვანება და შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია. მიმართვის საპასუხოდ თბილისის ყველა საწარმოში ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ბევრგან უკვე შეუდგნენ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც უზრუნველჰყოფს მიმდინარე წლის გეგმების ვადაზე ადრე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისათვის განაღდებას.

როგორ მიმდინარეობს ამჟამად თბილისის საწარმოებში ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება? რა კეთდება იმისათვის, რომ საწარმოთა კოლექტივები გეგმებს ასრულებდნენ თანმიმდევრულად, მზარდი მაჩვენებლებით?

ამ საკითხის განსახილველად საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში მოწვეულ იქნა საწარმოთა დირექტორების, პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთა თავმჯდომარეების, საწარმოთა მთავარი ინჟინრების და მრეწველობის ცალკე დარგთა ხელმძღვანელების თათბირი, რომელიც გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გოგუამ.

თათბირზე საინფორმაციო ხასიათის მოხსენებებით გამოვიდნენ: დიმიტროვის სახელობის ქარხნიდან ამხ. ვ. გოგლიძე, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან — ამხ. ა. მელაძე, სპილენძსაგლინავი ქარხნიდან—ამხ. ნ. ორჯონიკიძე, თბილისის შამპანური ღვინის ქარხნიდან — ამხ. ი. ჩაფიძე, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნიდან—ამხ. დ. მამაცაშვილი, თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკიდან—ამხ. გაბუნია, ავტოსარემონტო ქარხნიდან—ამხ. ა. გარდავაძე, ტყავის პირველი ქარხნიდან—ამხ. გ. ხაზარაძე, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკიდან — ამხ. ე. ლავთაძე, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნიდან — კ. გოგლიძე, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან — ამხ. მ. კოდუა, ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნიდან — ამხ. ი. სიხარულიძე და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელინი.

თათბირზე გამოირკვა, რომ ქალაქის მთელ რიგ მოწინავე საწარმოებში — დიმიტროვის, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნებში, ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში, პირველ სამკერვალო ფაბრიკაში, ტყავის პირველ ქარხანაში და ა. შ. ლენინგრადელთა მიმართვის საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით სრულდება.

მაგრამ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, სადაც ვალდებულებანი იკისრეს, ხოლო მათი განაღდებისათვის სათანადოდ არ ზრუნავენ. ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკა, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხანა და სხვ. ეს საწარმოები უკან ეწევიან ქალაქის მრეწველობას. თუ მიმდინარე წლის განვლილი ორი თვის — იანვარ-თებერვლის გეგმების შესრულებაში ქალაქის მრეწველობა 0,7 პროცენტით ჩამორჩა, ეს სწორედ მათი ცუდი მუშაობის გამო.

რა მთავარი ამოცანები დგას ახლა საწარმოთა ხელმძღვანელების წინაშე? უპირველეს ყოვლისა მათ უნდა მისცენ ზუსტი გეგმები თვითეულ საამქროს, უბანს, ბრიგადას, მუშას. საჭიროა მუშამ იცოდეს, თუ რისი გაკეთება ეკისრება მას ყოველდღიურად, ყოველდეკადურად და ყოველთვიურად, რათა წლიური გეგმის განაღდება მან 7 ნოემბრისათვის შესძლოს. აუცილებელია დავაჩქაროთ სტახანოველ ვ. მატროსოვის მეთოდით მუშაობის გავრცელება, ე. ი. სტახანოვური მეთოდების დანერგვის დაგეგმვა.

საწარმოთა ხელმძღვანელების მოვალეობაა დაუბრკოლებლად მოამარაგონ მუშები ნედლეულითა და დამხმარე მასალებით, წესრიგში იქონიონ დაზგადანადგარები. საწარმოებში გეგმები უნდა სრულდებოდეს ყოველდღიურად. საჭიროა მტკიცედ დავნერგოთ რიტმული მუშაობა.

საწარმოების პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ლენინგრადელთა მიმართვით გამოწვეულ შრომითს აღმავლობას და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებას უხელმძღვანელონ ყოველდღიურად. საწარმოებში საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ გეგმას ასრულებდეს ყოველი მუშა, არ გვყავდეს არც ერთი ჩამორჩენილი. საჭიროა ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გამოვამჟღავნოთ მუშაობის ნაკლოვანებანი და შევძლოთ მათი უმოკლეს დროში ლიკვიდაცია.

ყურადღება უნდა მივაქციოთ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მიღწევების პოპულარიზაციას, მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების სხვებისთვის გაზიარებას. ამავე დროს საჭიროა გადავსინჯოთ გამომუშავების მოძველებული ნორმები და ამით შევქმნათ სტიმული შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

თათბირის დასასრულს საწარმოთა ხელმძღვანელების ამოცანებზე ილაპარაკა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გოგუამ.

შეჯიბრების ინიციატორები ადიდებენ ქვანახშირის ამოღებას

მარტის პირველი დღეებიდან ტყიბულის სტალინის სახელობის შახტში დაწინაურდა ის უბანი, რომელსაც ინჟინერი შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. ეს უბანი იანვარსა და თებერვალში ჩამორჩენილი იყო. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საექსპლოატაციოდ მომზადდა ქვანახშირის ორი ახალი სანგრევი. ამით უბანმა 50-60 ტონით გაადიდა ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება. ახლა იგი გეგმის გადამეტებით იძლევა ქვანახშირს. პირველ მარტს ქვანახშირის ამოღების გეგმა უბანმა შეასრულა 114,7 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადამეტებით არის შესრულებული მარტის პირველი ხუთდღიური გეგმა. უბნის ის ცვლა, რომელსაც ე. ყანჩაველი ხელმძღვანელობს 115-120 პროცენტით ანაღდებს დღიურ გეგმებს. მოწინავე მეშახტეები დ. სუქნიძე, ა. ყიფშიძე, ა. ცნობილაძე და სხვები დავალებებს გაორკეცებით ასრულებენ.

უახლოეს დღეებში უბანი საექსპლოატაციოდ მოამზადებს კიდევ ორ ახალ სანგრევს, რითაც მკვეთრად გაიზრდება ქვანახშირის სადღეღამისო მოპოვება.

ს. მერკვილაძე

„კომუნისტის" კორესპონდენტი

მ ე ც ე მ ე ნ ტ ე თ ა პ ი რ ო ბ ა

სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა იანვარ-თებერვლის საწარმოო დავალება, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ლენინგრადელთა მიმართვას.

მიმართვის გასაცნობად მოწვეულ მიტინგზე გამოვიდნენ საფქვავი საამქროს უფროსი ვ. აბაიშვილი, საწვავი საამქროს უფროსი ვ. ქარუმიძე, ცვლის ოსტატი ი. მაღლაფერიძე, ზეინკლები რ. ძიგიტაშვილი და ზ. ტურაშვილი, ხარატი გ. ყაზარაშვილი და სხვ. გამოსულმა ამხანაგებმა კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს 1947 წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

ლენინგრადელთა მიმართვის პასუხად ცემენტის ქარხნის კოლექტივმა იკისრა: წლიური გეგმა შეასრულოს 2 დეკემბრისათვის, ტამპონაჟური ცემენტის გამოშვების დავალება განაღდოს 102 პროცენტით, 7 ნოემბრამდე დაზოგოს 50.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, 5 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, ფართოდ დანერგოს სტახანოველ მატროსოვის მუშაობის მეთოდი და მიაღწიოს თვითეული მუშის მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, გააჩაღოს შეჯიბრება საამქროებსა, ცვლებსა, ბრიგადებსა და თვითეულ მუშას შორის.

ვ. ბუზალაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გამარჯვებული საწარმოები

სტალინის სახელობის ჭიათურის მაღარო

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ შეაჯამეს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების იანვრის შედეგები და მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს მიაკუთვნეს მეორე ადგილი და ფულადი პრემია.

თბილისის დეპო და სამტრედიის მოძრაობის განყოფილება

რკინიგზებზე საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების იანვრის შედეგების მიხედვით პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ მესამე ჯილდო მიაკუთვნეს თბილისის საორთქლმავლო დეპოს და სამტრედიის მოძრაობის განყოფილებას.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

5 მარტს ამერიკის წარმომადგენელმა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში უნგრეთში გენერალმა ვიმზმა გენერალ-ლეიტენანტ სვირიდოვს, უნგრეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, გადასცა შემდეგი შინაარსის წერილი:

„პატივი მაქვს გადმოგცეთ ჩემი მთავრობის თვალსაზრისი უნგრეთში მომხდარი უკანასკნელი პოლიტიკური ამბების შესახებ და, როგორც უნგრეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, წამოვაყენო ზოგიერთი წინადადება.

შეერთებული შტატების მთავრობა თავის, როგორც იალტის დეკლარაციის ხელმომწერი ერთ-ერთი მხარის, ვალდებულებათა შესაბამისად, დროებითი ზავის ძალით თავისი, როგორც უნგრეთში მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ერთ-ერთი მონაწილის, პასუხისმგებლობისა და თავისი მტკიცე გადაწყვეტილების გამო, რომ უნგრელ ხალხს აღმოუჩინოს დახმარება დემოკრატიული დამოუკიდებლობის დამყარების საქმეში, როგორც ეს უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ამჟამად იძულებულია გამოსთქვას შეშფოთების გრძნობა იმ პოლიტიკური კრიზისის გამო, რაც ახლა გამოწვეულია უნგრეთში. უნგრეთში ამას წინათ მომხდარი პოლიტიკური ამბების მსვლელობა, როგორც სჩანს, საფრთხეს უქმნის ხალხის უფლებას იცხოვროს მის მიერ თავისუფლად არჩეული მთავრობის მართვა-გამგეობით, რამდენადაც ეს ამბები დაკავშირებულია უნგრეთის საშინაო საქმეებში გარეშე ჩარევასთან, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს უმცირესობაში მყოფი უნგრული ელემენტების არაერთგზის აგრესიულ ცდებს ზეგავლენა მოახდინონ ხალხის მიერ არჩეულ უმრავლესობაზე.

უნგრულმა კომუნისტებმა, რომლებსაც არ ძალუძთ თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ ჩვეულებრივი კონსტიტუციური გზებით, შემარცხენე ბლოკის სხვა წევრებთან ერთად სცადეს წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის, უმრავლესობის პარტიის, წარმომადგენელთათვის მიეწერათ თანამონაწილეობა რესპუბლიკის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რომელიც ამას წინათ იქნა აღმოჩენილი, და წვრილ სოფლის მეურნეთა დეპუტატებისათვის საპარლამენტო იმუნიტეტის წართმევის მოთხოვნით შეესუსტებინათ პარლამენტში ის პოზიცია, რაც დაიკავა ამ პარტიამ, რომელიც უნგრელი ხალხის მიერ სათანადოდ არის არჩეული. ამავე დროს პოლიციისა და ადმინისტრაციის ორგანოებმა, რომლებიც გულისხმიერად გამოეხმაურნენ უმცირესობაში მყოფი ამ ელემენტების მოთხოვნებს, თავიანთი რწმუნებანი შეთქმულების გამოძიების დარგში გამოიყენეს არა იმისათვის, რომ კანონიერი გზით სწრაფად აღმოეფხვრათ სახელმწიფოს წინააღმდეგ შექმნილი საფრთხე, არამედ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ საერთო კამპანიის ჩატარებისათვის.

საბჭოთა უმაღლესმა სარდლობამ უნგრეთში, პირდაპირი ჩარევის გზით, ახლა კრიზისამდე მიიყვანა მდგომარეობა უნგრეთში. მას შემდეგ, რაც წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიამ უარი სთქვა დათანხმებულიყო, რომ შეთქმულების გამოკვლევასთან დაკავშირებით საპარლამენტო იმუნიტეტი წაერთმიოდა დეპუტატ ბელა კოვაჩს, რომელიც უკანასკნელ დრომდე წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის გენერალური მდივანი იყო, საბჭოთა საოკუპაციო ძალებმა დააპატიმრეს ბ-ნი კოვაჩი. დაპატიმრების საფუძვლად წამოყენებულ იქნა მტკიცება, რომ იგი „აქტიურად მონაწილეობდა არალეგალური ანტისაბჭოთა ტერორისტული ჯგუფების შექმნაში“ და „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული შპიონაჟის ორგანიზაციაში“. ამ ნაბიჯის მნიშვნელობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის ეს მოქმედება ცალმხრივად იქნა წამოწყებული, იგი წინასწარ განხილული არ ყოფილა შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებთან მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში. შეერთებული შტატების მთავრობა იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც მას ამჟამად მოეპოვება, სთვლის, რომ ეს არგუმენტები და ეს ბრალდება დაუსაბუთებელია.

შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, ეს ამბები წარმოადგენენ გაუმართლებელ ჩარევას უნგრეთის საშინაო საქმეებში, რომლის შედეგიც იქნება მხარის დაჭერა მცირე ჯგუფის ცდებისათვის უნგრეთში უმცირესობის დიქტატურით შესცვალოს პასუხისმგებელი ადმინისტრაცია, რომელიც წარმოადგენს უნგრელი ხალხის ნებას, როგორც იგი გამოხატული იყო თავისუფალი და დაუბრკოლებელი არჩევნებით. შეერთებული შტატების მთავრობა წინააღმდეგია ამ ცდისა, რომ გაბათილებულ იქნას მანდატი, რომელიც უნგრელმა ხალხმა არჩევნების გზით.

ამ გარემოებათა გამო შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნაა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში თავიანთი სათანადო მთავრობებისაგან მიიღონ მითითება შეუერთდნენ შეერთებული შტატების წარმომადგენელს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში უნგრეთის პრემიერ-მინისტრთან, თავდაცვის მინისტრთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან, იუსტიციის მინისტრთან და ეროვნული კრების თავმჯდომარესთან თანამშრომლობით იმ ფაქტების გამსახილველად, რომლებიც შეეხება არსებულ მდგომარეობას, მათ შორის ბ-ნ კოვაჩის საქმეს, და შეთქმულებას, აგრეთვე უნგრეთის მთავრობისათვის რეკომენდაციების წარსადგენად იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული საკითხის მოწესრიგებული გადაწყვეტისათვის. შეერთებული შტატების მთავრობა თხოვნას აგრეთვე, რომ საბჭოთა ხელისუფლებმა არ მიიღონ არავითარი შემდგომი ზომები, ვიდრე არ მოეთათბირებიან შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენლებს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში.

ამ წერილის პირს მე ვუგზავნი ბრიტანეთის წარმომადგენელს მოკავშირეთა საკონტროლო კომისიაში გენერალ ეჯკამს.

გარწმუნებთ ჩემს სრულ პატივისცემაში, გულწრფელად თქვენი, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობის უფროსი, ბრიგადის გენერალი ჯ. ხ. ვიმზი“.

ამ წერილის პასუხად გენერალ-ლეიტენანტმა სვირიდოვმა 8 მარტს გენერალ ვიმზს აცნობა შემდეგი:

„ბ-ნო გენერალო,

თქვენი ა. წ. 5 მარტის წერილის პასუხად, რომელშიც თქვენ მოგყავთ თქვენი მთავრობის თვალსაზრისი უნგრეთში უკანასკნელ ხანს მომხდარ პოლიტიკურ ამბებზე, პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

ანტიკომუნისტური და რესპუბლიკის საწინააღმდეგო შეთქმულება ემუქრებოდა არა უმცირესობის პარტიას, არამედ უნგრეთის დემოკრატიულ წყობილებასა და მთავრობას, რომლებსაც საფუძველი არა გვაქვს ბრალი დავდოთ იმაში, რომ ისინი ისწრაფვიან კანონიერი ძალაუფლება წაართვან წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიას და დაამყარონ უმცირესობის დიქტატურა, ვინაიდან ისინი უნგრეთის კონსტიტუციის ბაზაზე დგანან.

ანტიკომუნისტური შეთქმულების არსებობის და იმ საშიშროების, რასაც ეს შეთქმულება უნგრეთის ახალგაზრდა დემოკრატიისათვის წარმოადგენდა, არ უარჰყოფს თვით წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიაც, რის შესახებაც მას არაერთხელ განუცხადებია პრესაში, აგრეთვე თავისი ლიდერის ფერენც ნადის მრავალ გამოსვლაში.

შეთქმულთა შორის წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენლი და მათ შორის პარლამენტის დეპუტატებიც რომ აღმოჩნდნენ, ეს არ არის პოლიციის ან შემარცხენე ბლოკის პარტიების ბრალი. თვით წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიამ ამ პარტიიდან გამოსული ყველა შეთქმული დამნაშავედ სცნო და ნებაყოფლობით დათანხმდა მათთვის დეპუტატის ხელშეუხებლობის წართმევასა და სასამართლოსათვის მათს გადაცემაზე.

ამიტომ თქვენი განცხადება, ბ-ნო გენერალო, იმის შესახებ, რომ უმცირესობის პარტიები ცდილობდნენ შეთქმულებაში გაეხვიათ წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის წარმომადგენლები, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

შეთქმულების საქმის გამოძიება, როგორც ცნობილია, უკვე დამთავრებულია უნგრეთის ხელისუფალთა მიერ, და შეთქმულთა საქმის განხილვას ამჟამად აწარმოებს უნგრეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელი დემოკრატიული სასამართლო. ამიტომ მე ვერ დავეთანხმები არსებული მდგომარეობისა და შეთქმულების ერთად განხილვას, რის წინადადებასაც თქვენ იძლევით, ვინაიდან ეს იქნებოდა უნგრეთის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში აშკარად ჩარევა და უნგრეთის სახალხო სასამართლოს კანონიერ უფლებათა უხეში დარღვევა.

ბელა კოვაჩის საქმეში თქვენს ჩარევას მე სხვანაირად ვერ განვიხილავ, თუ არ იმის ცდას, რომ ხელყოთ საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალთა კანონიერი უფლებანი დაიცვან უნგრეთის ტერიტორიაზე მყოფი თავისი შეიარაღებული ძალები, და ამიტომ ვერ დავეთანხმები ასეთ ჩარევას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრივ. ბელა კოვაჩის დაპატიმრება საბჭოთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათათვის არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც უნგრეთის საშინაო საქმეებში საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალთა ჩარევა.

ამ წერილის პირს ამავე დროს ვუგზავნი მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოში ბრიტანეთის წარმომადგენლობის უფროსს გენერალ ეჯკამს.

თქვენდამი სრული პატივისცემით გენერალ-ლეიტენანტი სვირიდოვი“. (საკდეპი).

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲔᲠᲔᲡᲘ, ᲑᲝᲚᲔᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘ, ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ, ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲕᲡᲙᲘ ᲓᲐ ᲢᲝᲚᲣᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 8 მარტი. (საკდეპი). დღეს დამთავრდა სრულიად საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი ხუთი პარტიის გათამაშება. სატურნირო ცხრილის ოლივე უჯრედი შევსებულია. პირველ ადგილზეა გროსმაისტერი კერესი—14 ქულა, მეორეზე—გროსმაისტერი ბოლესლავსკი—13 ქულა, მესამესა და მეოთხეზე—გროსმაისტერები სმისლოვი და ბონდარევსკი, რომლებსაც თორმეტ-თორმეტი ქულა აქვთ. მეხუთე ადგილი უჭირავს ლენინგრადის ჩემპიონს, ოსტატ ტოლუშს—11,5 ქულა, მეექვსე ადგილზეა მოსკოვის ჩემპიონი ოსტატი ბრონშტეინი—11 ქულა, მეშვიდესა და მერვეზე—გროსმაისტერები ფლორი და ლილიენტალი—10,5 ქულა თითოეულს, მეცხრე ადგილზეა გროსმაისტერი რაგოზინი—10 ქულა, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ადგილებზე არიან გროსმაისტერი ლევენფიში, დამსახურებული ოსტატი მაკოგონოვი და მაესტრო კასპარიანი—ცხრა-ცხრა ქულა, მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ადგილები უჭირავთ მაესტროებს—უფიმცევს, კამსა და იუდოვიჩს. მათ დააგროვეს რვა-რვა ქულა. მეთექვსმეტე ადგილზეა ოსტატი ალატორცევი—7,5 ქულა, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ადგილებზე—ოსტატი გოლდენოვი და ოსტატობის კანდიდატი არონინი—შვიდ-შვიდი ქულა, მეცხრამეტე და მეოცე ადგილები გაიყვეს ოსტატმა ლუბლინსკიმ და ოსტატობის კანდიდატმა კლამანმა—6,5 ქულა თითოეულს.

მხოლოდ ერთმა მონაწილემ—გროსმაისტერმა ბოლესლავსკიმ ჩაატარა 19 პარტია დაუმარცხებლად, მას 7 მოგება აქვს და 12 ყაიმი. ყველაზე მეტი წაგება აქვს ოსტატობის კანდიდატს კლამანს, მაგრამ მან დაამარცხა კერესი, ბონდარევსკი, ლევენფიში და გოლდენოვი.

საკდეპის კორესპონდენტთან საუბარში ტურნირის მთავარმა მსაჯმა ოსტატმა ნ. ნ. ზუბარევმა სთქვა:

— ტურნირმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. ოსტატობის კანდიდატმა კ. კლამანმაც კი, რომელიც ცხრილის ბოლოში აღმოჩნდა, სამი გროსმაისტერი დაამარცხა. ეს იმას მოწმობს, რომ ტურნირში სუსტი მონაწილე არ ყოფილა.

ჩემპიონატის პარტიები დიდ თეორიულ ღირებულებას წარმოადგენენ და მათ ინტერესით შეისწავლიან არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

ტურნირში გამარჯვებულმა გროსმაისტერმა კერესმა დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის საპატიო წოდება და ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი მაღალი საერთაშორისო კლასი. დიდ წარმატებას მიაღწია გროსმაისტერმა ბოლესლავსკიმ. იგი ზედიზედ მეორედ იკავებს მეორე ადგილს სსრ კავშირის ჩემპიონატში. საუცხოოდ ითამაშა ტურნირში გროსმაისტერმა ბონდარევსკიმ, რომელმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა და მხოლოდ უკანასკნელ ტურში წააგო კლამანთან. გროსმაისტერმა სმისლოვმა, როგორც სჩანს ვერ გაუძლო ტურნირის დიდ დისტანციას: პირველ ნახევარში იგი ლიდერი იყო, მეორე ნახევარში კი მხოლოდ 5 ქულა დააგროვა 10-დან.

მთელი რიგი ლამაზი პარტიები გაითამაშა ლენინგრადის ჩემპიონმა ოსტატმა ტოლუშმა. მოსკოვის ჩემპიონმა ბრონშტეინმა კვლავ კარგ შედეგს მიაღწია და მეექვსე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია აგრეთვე სომხეთის წარმომადგენლის კასპარიანის წარმატება. იგი თავისი განსაკუთრებული სტილით თამაშობს და ეჭრიმის დიდი ოსტატია. მზარდ ოსტატებად გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა მონაწილეებმა—უფიმცევმა, გოლდენოვმა, არონინმა და კლამანმა.

ეჭვს გარეშეა, რომ მე-15 ჩემპიონატი დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ სიტყვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე 1947 წლის 5 მარტს*)

ატომის კომისიის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის 1946 წლის 14 ივნისის განცხადების მე-4 პუნქტში ნათქვამია:

„ამ „მმართველობით“ იგულისხმება უშუალო უფლება და ძალა-უფლება მიიღოს ყოველდღიური გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხებიან თვით ოპერაციებს, ისე როგორც კონსულტატიური პასუხისმგებლობა დაგეგმვისათვის. სამმართველო კონტროლით იგულისხმება ქარხნის შინაური კონტროლი დირექტორის ან მმართველის მიერ. საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს მმართველობა გაგებულია ისე, რომ მმართველობას აწესებს ეს ორგანო და იგი პასუხისმგებელია მის წინაშე. მმართველობა ჩვეულებრივ საკუთრების უფლების პრეროგატივას წარმოადგენს, მაგრამ აუცილებლად როდია დაკავშირებული ამ უფლებასთან“.

მე განსაკუთრებით მივაქცევ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ კომისიას მიაჩნია: მმართველობა არის უშუალო უფლება და ძალაუფლება მიიღოს ყოველდღიური გადაწყვეტილებანი ოპერაციების დარგში, აგრეთვე პასუხისმგებლობა დაგეგმვისათვის. ეს საკუთრების უფლების აშკარა ელემენტებია.

უშიშროების საბჭოს ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე იმას, რომ, მოხსენებაში არსებული დასკვნის თანახმად, მმართველობა ჩვეულებრივ წარმოადგენს საკუთრების უფლების პრეროგატივას. მართალია, იქვე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მმართველობა „აუცილებლად როდია დაკავშირებული ამ უფლებასთან“, მაგრამ ეს შენიშვნები, რომლებიც, როგორც სჩანს, შეტანილია ძირითადი თეზისის შესარბილებლად, არ სცვლიან ამ მუხლის აზრს და მასში გამოხატულ ძირიანად მანკიერ და მიუღებელ იდეას.

ატომის კომისიის მოხსენებაში არსებითად განმეორებულია ის თეზისი, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა ამერიკის წარმომადგენლის ზემოთაღნიშნულ განცხადებაში ატომის კომისიის პირველ სხდომაზე. მე უკვე აღვნიშნე, რომ წინადადება, რათა საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს მიენიჭოს უფლება ჰქონდეს ატომის ენერგიის მწარმოებელ საწარმოებს და განუსაზღვრელი უფლება სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებული არიან საწარმოთა მფლობელობის, ხარჯვის და მათი პროდუქციების განკარგულებასთან, გამოიწვევდა საკონტროლო ორგანოს ჩარევას ქვეყნების შინაურ საქმეებსა და შინაურ ცხოვრებაში და, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევდა საკონტროლო ორგანოს თვითნებობას იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მთლიანად ექვემდებარებიან სახელმწიფოს შინაურ კომპეტენციას. საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საკონტროლო ორგანოსათვის ამგვარი ფართო უფლებათა და რწმუნებათა მინიჭება შეუთავსებელია სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტთან. ამიტომ ასეთი წინადადებანი მიუღებელია და უარყოფილ უნდა იქნას როგორც უსაფუძვლო, როგორც ისეთი, რომლებიც არა თუ არ აადვილებენ მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების ამოცანის გადაჭრას, არამედ, პირიქით, აძნელებენ ამ ამოცანის გადაწყვეტას.

თეზისს საკუთრების უფლებისა ან მფლობელობის უფლების შესახებ საერთო არაფერი არა აქვს ატომის ენერგიისადმი ეფექტიანი, რეალური საერთაშორისო კონტროლის შექმნის ამოცანებთან. თითქოს ეს ცხადია. მაგრამ მაინც ზემოთაღნიშნულ წინადადებებს, მიუხედავად მათი სრული უსაფუძვლობისა, შეუპოვრად იცავენ. ამასთან მოჰყავთ სხვადასხვაგვარი უსაფუძვლო არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, თითქოს საკონტროლო ორგანოსათვის სწორედ ასეთ უფლებათა და რწმუნებათა მინიჭების გზით შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო კონტროლის სისტემა. ზემოთაღნიშნულ წინადადებათა გულდასმით გაცნობა ცხადჰყოფს, რომ ეს თეზისი კონტროლის დამოწმებით ჰფარავს მხოლოდ მისწრაფებას მიიღონ უფლება ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაში ჩასარევად, როგორც ამას მოითხოვენ თუნდაც საკონტროლო ორგანოს უმრავლესობის ინტერესები.

ატომის კომისიასა და უშიშროების საბჭოში ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლებში, აგრეთვე უკანასკნელ დროს ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის საკითხებში გამოჩენილ მრავალ „ექსპერტთა“ გამოსვლებში, ძალიან ხშირად ისმება საკითხი: „როგორღა წარმოუდგენია საბჭოთა კავშირს საკონტროლო ორგანოს მიერ პრაქტიკული ყოველდღიური საქმიანობის განხორციელება და როგორ მიიღებს ეს ორგანო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ ყოველდღიურ საქმიანობას შეეხებიან“.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში უკვე არაერთგზის იყო ჩამოყალიბებული. თუ საჭიროა, მე მზად ვარ კვლავ გავიმეორო, რომ ასეთ ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს სათანადო შემთხვევებში გადაწყვეტილებანი

აზომური იარაღის აკრძალვა გაერთიანებული ერების გადაუდებელი ამოცანაა

ა. ა. გრომიკოს სიტყვა უშიშროების საბჭოს სხდომაზე 1947 წლის 5 მარტს

(დასასრული)

ნი არ ეფუძნებოდნ ჩვენი გიზნრიხეებს მიმართ, რომ ის გეგეეეფილოსნენებია მეიტე საბალშნოფოთა მხრივ თავიანთ პროტესნოებზე ანროს თავისუფალ გამოთქმის შესაძლებლობა. უამისოდ საქმე ისე წარპოვდებეოდეთ, თითქოს სანი მთავარა საბალშნოფო პროტესტიოს ალეგიდეს მთელი მსოფლიოს მარეფაზე. ნამდვილად კი მათ სერთ ეფსაბერთ შეზიდოთას და ინსანნ მსოფლიო ომ სანთნეეეებებსაგან, რაც თავს დაატყდა ხალხებს ეუ-რაფელუბოს ანალიზეე ომ. ამ ამბერმა სანგ-ლი დიდმა საბალშნოფ

მ უნდა გამოინანოს ეუფიფეანი ბრალდებანი, ანალოგიური ბრალდებანი ეეეეფილ ანალოგიურ საეერთ საქმეთ ანტიერსეებეეეე